



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური  
დირექტორის

ბრძანება № 116

2017 წლის 18 აგვისტო

ქ. თბილისი

2017 წლის 20 თებერვლის N04/01 საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული  
პროექტების ანგარიშის ფორმების დამტკიცების შესახებ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ”ე“ ქვეპუნქტის, 2017 წლის 20 თებერვლის N04/01 საგრანტო ხელშეკრულების მე-2 მუხლის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის ქეთევან გაბიტაშვილის სამსახურებრივი ბარათის (N953515, 17.08.2017წ.) შესაბამისად

ვბრძანებ:

1. თანდართული დანართის შესაბამისად დამტკიცდეს 2017 წლის 20 თებერვლის N04/01 საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშის ფორმები;
2. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ამ ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;
3. ბრძანება ძალაშია ფონდის ვებგვერდზე განთავსებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მანანა მიქაბერიძე